

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც იცვლება ქალაქ თბილისის მერის და საკრებულოს არჩევის წესი.

ა.ბ. კანონპროექტის მიღების მიზანი:

პროექტის შემუშავების მიზანია საარჩევნო გარემოს გამოსწორება, ქალაქ თბილისის მერის და საკრებულოს პირდაპირი წესით არჩევა და მორგება ახალ საარჩევნო სისტემაზე რომელსაც ინიცირებული საარჩევნო კოდექსის პროექტი ითვალისწინებს.

ა.გ. კანონპროექტის მიღების არსი:

თბილისში ჩატარდება მერის პირდაპირი არჩევნები. მერობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს სხვებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 30%-ისა. თუ ხმათა აღნიშნული რაოდენობა ვერ მოაგროვა ვერცერთმა კანდიდატმა ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისგან, რომელთაგანაც 25 წევრი აირჩევა ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, 25 წევრი აირჩევა პროპორციული წესით. პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატები ნაწილდება იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებიც გადალახავენ 4%-იან ბარიერს. თბილისის საკრებულოს არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ გაერთიანებებს. მაჟორიტარულ არჩევნებზე საარჩევნო ბარიერი არ იარსებებს. მანდატებს მიიღებს ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს.

შესაბამისად ცვლილებები შედის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11, 22-ე და 22¹ მუხლებში.

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

პროექტის მიღება არ საჭიროებს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

პროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი.

დ.დ კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი